

ნიკა გვარამიას ბრალდების სისხლის სამართლის საქმის შეფასება

თბილისი

2021

სარჩევი

ძირითადი მიგნებები	3
I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები	4
ქონებრივი უფლების გაფლანგვის ეპიზოდი	4
კომერციული მოსყიდვის, აგრეთვე ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ეპიზოდი	5
ფულის გათეთრების ეპიზოდი	5
ნიკა გვარამიას პოზიცია	5
II. ქონებრივი უფლების გაფლანგვისა და კომერციული მოსყიდვის ბრალდება	6
კორპორაციის მართვა და კონტროლი	6
დირექტორის გამჭოლი პასუხისმგებლობა	7
სამეწარმეო განსჯის წესი (The Business Judgement Rule)	8
გენერალური ხელშეკრულება და დამატებითი შეთანხმებები	10
ბრალდების საფუძვლიანობა	11
III. ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ბრალდება	13
IV. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ბრალდება	15
ფულის გათეთრების არსი	16
ფულის გათეთრების ბრალდების საფუძვლიანობა	19

ძირითადი მიგნებები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ შეისწავლა სისხლის სამართლის #074200719801 საქმე. ნიკა გვარამიას ბრალდების შესახებ დადგენილებისა და საქმეში არსებული მტკიცებულებების გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ ბრალდება დაკავშირებულია როგორც საკორპორაციო-სამართლებრივ, ასევე სისხლის სამართლის თეორიის საკვანძო საკითხებთან.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად, ასევე საქართველოს კანონმდებლობის, სასამართლო პრაქტიკის, იურიდიული დოქტრინისა და საქმეში არსებული ფაქტების მხედველობაში მიღებით, არ დასტურდება ნიკა გვარამიას მიერ ქონებრივი უფლების გაფლანგვის, კომერციული მოსყიდვის, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ფაქტი.

გარდა ამისა, ნიკა გვარამიას მიმართ წარდგენილი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ბრალდება ვერ პასუხობს სისხლის სამართლის კოდექსის გათვალისწინებული ფულის გათეთრების დანაშაულის ნიშნებსა და მის კონვენციურ შინაარსს.

ნიკა გვარამიასათვის წარდგენილი ბრალდების უმეტესობა მის მიერ მიღებულ მენეჯერულ გადაწყვეტილებას უკავშირდება. წინამდებარე შეფასებაში განვითარებული მსჯელობის მიხედვით, საწარმოს ინტერესებიდან გამომდინარე, დირექტორის მიერ რისკების გაწევა და კონკრეტული მენეჯერული გადაწყვეტილების მიღება არათუ სისხლისსამართლებრივი არამედ სამეწარმეო სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველიც კი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა გახდეს.

კორპორაციული მართვის პროცესში დირექტორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, მხოლოდ იმ მოტივით, რომ მისმა გადაწყვეტილებამ საწარმოს წინა წლის მსგავსი შემოსავალი არ მოუტანა, ეწინააღმდეგება ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფციას. კომპანიის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, დირექტორს უფლება აქვს მიიღოს სარისკო გადაწყვეტილებები. მას არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გადაწყვეტილება საწარმოსათვის მოგების მომტანი არ აღმოჩნდა. დირექტორის გადაწყვეტილებამ შესაძლოა საწარმოს მოგება არ მოუტანოს, თუმცა იგი გამართლებული იყოს საწარმოს ეფექტიანად ფუნქციონირების გაგრძელებისათვის.

I. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

ნიკა გვარამიას ბრალდება 2019 წლის 9 აგვისტოს, იმავე წლის 20 ივლისს დაწყებული გამოძიების ფარგლებში წარედგინა. 2019 წლის პირველ ნოემბერს კი ბრალდება საბოლოოდ დაუზუსტდა. ნიკა გვარამიას ბრალი დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილ ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვაში, კომერციულ მოსყიდვაში, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებასა და გამოყენებაში, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასა და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში დაედო.¹

2014 წლის სექტემბრიდან 2019 წლის ივლისამდე ნიკა გვარამია შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის (შემდგომში - რუსთავი 2 ან კომპანია) გენერალური დირექტორი იყო. კომპანიას კომერციული სარეკლამო დროის გასხვისებასთან დაკავშირებით ხელშეკრულება ე.წ. „სეილს ჰაუსებთან“ ქონდა გაფორმებული. 2013-2014 წლებში, კონტრაქტორი ფიქსირებული ანაზღაურების გარდა, სარეკლამო დროის გაყიდვების სრული შემოსავლიდან წლის ბოლოს ბონუსის სახით, დაახლოებით 5%-ს იღებდა.

2015 წლის 16 იანვარს შპს „ინტერ მედია პლიუსთან“ (შემდგომში - „სეილს ჰაუსი“) გაფორმებული გენერალური ხელშეკრულებით ანგარიშსწორების წესი შეიცვალა. ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეები ყოველ თვე უნდა შეთანხმებულიყვნენ ანაზღაურების კონკრეტულ ოდენობაზე. 2015 წლის ბოლო ოთხ თვეში კომპანიის მიერ მიღებული შემოსავალი წინა წელთან შედარებით შემცირდა. სწორედ ამ პერიოდში მიღებული გადაწყვეტილებები გახდა ნიკა გვარამიასთვის ბრალდების წარდგენის საფუძველი.

ქონებრივი უფლების გაფლანგვის ეპიზოდი

ბრალდების მხარის მტკიცებით, ნიკა გვარამიამ რუსთავი 2-ის გენერალური დირექტორობისას დაარღვია სამსახურებრივი ვალდებულება, არ იმოქმედა კეთილსინდისიერად და კომპანიის ინტერესებიდან გამომდინარე. კერძოდ, 2015 წლის სექტემბრიდან-დეკემბრამდე პერიოდში კომერციული რეკლამის განთავსების უფლების დათმობის სანაცვლოდ, შპს „ინტერ მედია პლიუსისგან“ მოითხოვა 2014 წელს ანალოგიურ მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში მიღებულ თანხასთან შედარებით მცირე ანაზღაურება. შედეგად, მან კომპანიის ფინანსურ დირექტორთან ერთად გაფლანგა 2015 წლის 16 იანვრის გენერალური ხელშეკრულებით განსაზღვრული რუსთავი 2-ის კუთვნილი ქონებრივი უფლება და კომპანიამ 6 763 509 ლარის მატერიალური ზიანი განიცადა. ბრალდების მხარემ აღნიშნული ზიანი ბოლო წლების კომერციული სარეკლამო

¹ დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში - სსკ) 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტებით, ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 221-ე მუხლის მესამე ნაწილით, 362-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 194-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

წინამდებარე ანალიზი მხოლოდ ბრალდების შესახებ დადგენილების პირველ ნაწილში მითითებული ბრალდების შეფასებით შემოიფარგლება.

შემოსავლებიდან მიღებული თანხების სხვაობით გამოიანგარიშა (2014 წელი - 43 230 509 ლარი და 2015 წელი - 36 467 000 ლარი). ბრალდების მხარის პოზიციით, იმ პირობებში, როდესაც სარეკლამო ბაზარი არ შემცირებულა, კომპანიას, წინა წლის მსგავსად, იმავე ოდენობის შემოსავალი უნდა მიეღო.

კომერციული მოსყიდვის, აგრეთვე ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ეპიზოდი

ბრალდების თანახმად, რუსთავი 2-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების გაფლანგვის სანაცვლოდ, 2017 წლის 21 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, ნიკა გვარამიამ შპს „ინტერ მედია პლიუსისგან“ სარგებლის სახით უძრავი ქონება (ორი ბინა) მიიღო. უძრავი ქონების მიღების უზრუნველსაყოფად, 2016 წლის 5 და 25 ივლისს გაფორმდა ყალბი (ფიქტიური) სესხის ხელშეკრულებები. აღნიშნულის საფუძველზე კი, ვითომდა სასესხო ვალდებულების დაფარვის სანაცვლოდ, შპს „ინტერ მედია პლიუსის“ დირექტორმა ნიკა გვარამიას ნასყიდობის ხელშეკრულებით გადასცა ზემოაღნიშნული უძრავი ქონება.

ფულის გათეთრების ეპიზოდი

ბრალდების თანახმად, მას შემდეგ რაც ნიკა გვარამიამ უძრავი ქონება მიიღო, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განიზრახა. დანაშაულებრივად მიღებული ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემის, მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროსა და საკუთრების შენიღბვის მიზნით ნიკა გვარამიამ 2017 წლის 7 ივლისსა და 26 სექტემბერს უძრავი ქონება 602 521.80 ლარად გაასხვისა, რის შედეგადაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავალი მიიღო.

ნიკა გვარამიას პოზიცია

გამოძიების ეტაპზე, 2019 წლის 2 აგვისტოს, ნიკა გვარამია მოწმის სტატუსით მაგისტრატ მოსამართლესთან დაიკითხა. მისი განმარტებით, 2015 წლის 16 იანვრის გენერალური ხელშეკრულებით ფიქსირებული ტარიფის შეთანხმების მიზანი კომპანიის წინაშე არსებული რისკების დაზღვევა და იმის უზრუნველყოფა იყო, რომ სარეკლამო ბაზრის გაუარესების შემთხვევაში რუსთავი 2 ფუნქციონირებისათვის აუცილებელ საოპერაციო ხარჯებს გარანტირებულად მიიღებდა. ეს გადაწყვეტილება კომპანიის პარტნიორების მიერ იქნა მოწონებული. კომპანია პირველი რვა თვის განმავლობაში წინა წლის მსგავს შემოსავალს იღებდა. თუმცა 2015 წლის აგვისტოში ქიზარ ხალვაშის მიერ ინიცირებული სამართლებრივი დავის, რუსთავი 2-ის კუთვნილი უძრავი ქონებისა და პარტნიორთა წილების დაყადაღების, მასთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების გამო, აგრეთვე სარეკლამო ბაზართან დაკავშირებული რეგულაციების ცვლილებების პირობებში, სარეკლამო ბაზრის გაუარესების და შესაბამისად შემოსავლების შემცირების რისკები ხელშესახები გახდა. ამის გამო, ნიკა გვარამია გენერალური ხელშეკრულების საფუძველზე „სეილს ჰაუზისაგან“ ყოველთვიურად

იმ ოდენობის გარანტირებულ თანხას ითხოვდა, რომელიც კომპანიის ფუნქციონირებისათვის იყო აუცილებელი. მას შემდეგ რაც ზემოაღნიშნული რისკები არ რეალიზდა, 2016 წლიდან კომპანია ანგარიშსწორების ძველ წესს დაუბრუნდა.

II. ქონებრივი უფლების გაფლანგვისა და კომერციული მოსყიდვის ბრალდება

ბრალდების შესახებ დადგენილების თანახმად, ნიკა გვარამიამ დაარღვია კომპანიის წესდებითა და კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულებები, არ იმოქმედა კეთილსინდისიერად და რუსთავი 2-ის კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ნიკა გვარამიას მიერ მიღებული მენეჯერული გადაწყვეტილების მართლზომიერება და ბრალდების საფუძვლიანობის შეფასება საწარმოს მენეჯერის კორპორაციულსამართლებრივი სტატუსისა და მისი უფლება-მოვალეობების მხედველობაში მიღებით უნდა მოხდეს.

კორპორაციის მართვა და კონტროლი

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონი განსაზღვრავს დირექტორის ვალდებულებას საზოგადოების საქმეებს გაუძღვეს კეთილსინდისიერად. კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ იგი ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.² დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი სწორედ ამ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის შეიძლება დადგეს.

კარგი კორპორაციული მართვის უნივერსალური პრინციპი არარსებობის მიუხედავად, მიჩნეულია, რომ საწარმოს მართვა უნდა ეფუძნებოდეს დამოუკიდებლობის, ანგარიშვალდებულების, ღიაობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს.³ მნიშვნელოვანია, დირექტორმა შეარჩიოს კვალიფიციური თანამშრომლები, შექმნას კომპეტენტური მენეჯმენტის სტრუქტურა, კეთილსინდისიერად წარუძღვეს საწარმოს საქმიანობას და მისი მოქმედებები მიმართული იყოს კომპანიის რენტაბელურობის გაზრდისაკენ.⁴

კომპანიის ეფექტიანი მართვა დირექტორის უმთავრესი ვალდებულებაა. ეფექტიანობაში არა მარტო მოგების მიღება, არამედ მისი მაქსიმიზაციის მიზნით კომპანიის მდგრადი

² საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ, მე-9 მუხლის მეექვსე პუნქტი.

³ Du Plessis and et al., *Principles of Contemporary Corporate Governance*, Cambridge University Press (2018).

სხვე, National Association of Corporate Directors, *Key Agreed Principles to Strengthen Corporate Governance for U.S. Publicly Traded Companies* (2011) <https://www.nacdonline.org/files/PDF/KEY%20AGREED%20PRINCIPLES%202011.pdf> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

⁴ იქვე.

განვითარებაც იგულისხმება. საწარმოს ეფექტიანობის გასაზრდელად დირექტორს ყოველდღიურად უწევს გადაწყვეტილებების მიღება. ცვალებადი ბიზნესგარემოს პირობებში კი შეუძლებელია ყველა ნიუანსის წინასწარ დაგეგმვა. ამიტომ, კომპანიის წარმატებისა და საუკეთესო ინტერესებით მოქმედებისათვის დირექტორებს აქვთ დისკრეცია, რომ გადაწყვეტილების მიღების პროცესში იყვნენ მოქნილები. ბიზნესის წარმატებისა და შესაძლო ზიანის თავიდან ასაცილებლად დირექტორს უფლება აქვს მიიღოს სარისკო გადაწყვეტილებები. კეთილსინდისიერ დირექტორს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა მხოლოდ იმიტომ, რომ მისი გადაწყვეტილება არ აღმოჩნდა წარმატებული ან საწარმოსათვის მოგების მომტანი.⁵

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების უპირატესობა უმეტესწილად სწორედ მის მოქნილობაში, პარტნიორთა და დირექტორატის ლიმიტირებულ პასუხისმგებლობაშია. საწარმოს მმართველ პირების პასუხისმგებლობისაგან დაცვა რისკების გაწევას, ინოვაციების დანერგვას, მეწარმეობის წახალისებასა და ეკონომიკურ განვითარებას უწყობს ხელს.⁶ ბუნებრივია, ლიმიტირებული პასუხისმგებლობის პირობებშიც შეიძლება დადგეს დირექტორის პასუხისმგებლობის საკითხი.⁷

დირექტორის გამჭოლი პასუხისმგებლობა

კორპორაციული საფარველის გაჭოლვის დოქტრინის (piercing the corporate veil) წარმოშობა მისმა კორპორატიულმა კონტექსტმა განაპირობა. დირექტორი ან პარტნიორი შესაძლოა პერსონალურად პასუხისმგებელი გახდეს კრედიტორების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის. იმ შემთხვევაში თუ სახეზეა თაღლითობა, არაადეკვატური კაპიტალიზაცია, კორპორაციული მოთხოვნების უგულვებელყოფა ან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, შესაძლებელია, დადგეს მენეჯერების ან პარტნიორების ინდივიდუალური პასუხისმგებლობა. კორპორაციული საფარველის გაჭოლვისათვის აუცილებელია კუმულაციურად არსებობდეს რამდენიმე ფუნდამენტური ელემენტი:⁸

- კორპორაციის ინსტრუმენტალიზაცია ან ე.წ. „alter ego“-ს შემთხვევა
- კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენება
- მიზეზ-შედეგობრივი კავშირი დამდგარ ზიანთან

⁵ ბაქაქური, გელტერი, ცერცვაძე, ჯუღელი, *საკორპორაციო სამართალი - სახელმძღვანელო იურისტებისათვის* (ოქტომბერი, 2019) 79.

⁶ McPherson and Raja, Corporate Justice: An Empirical Study of Piercing Rates and Factors Courts Consider when Piercing the Corporate Veil, 45(3) *Wake Forest Law Review* (2010) 931.

⁷ Freedman, Harpooning the Corporate Whale: A Federal Maritime Treatise on Veil-Piercing, 43 (1) *Transportation Law Journal* (2016).

⁸ Blumberg, The Transformation of Modern Corporation Law: The Law of Corporate Groups, 37(3) *Connecticut Law Review* (2005) 605.

გამჭოლი პასუხისმგებლობის დადგენა წარმოადგენს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საგამონაკლისო შემთხვევას. მისი გამოყენება „მეხის გავარდნის მსგავსად“ იშვიათი და მძიმე შედეგების მომტანი შეიძლება იყოს.⁹ საწარმოს მენეჯერების მიერ მხოლოდ კორპორაციული მოთხოვნების შეუსრულებლობა არ შეიძლება გახდეს „veil piercing“-ის საფუძველი.¹⁰ მისი გამოყენება შესაძლებელია ფიდუციური ვალდებულებების დარღვევის ან დანაშაულის ჩადენის დროს.

კორპორაციული მართვისას ხელმძღვანელთა მოვალეობა ორ ჯგუფად იყოფა: ზრუნვისა (duty of care) და ერთგულების ვალდებულება (duty of loyalty).¹¹ ერთგულების მოვალეობაში საწარმოს ინტერესის უპირატესობა იგულისხმება. დაუშვებელია, დირექტორმა პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად კომპანიისათვის საზიანო გადაწყვეტილება მიიღოს.

ფიდუციური (მზრუნველობითი) ვალდებულების მიხედვით, საწარმოს ხელმძღვანელები და სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ვალდებულები არიან საზოგადოების საქმეებს გაუძღვნენ კეთილსინდისიერად, იმ რწმენით, რომ მათი ქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოების მიზნებისა და ინტერესებისათვის. გარდა ამისა, იგი მოითხოვს ჩვეულებრივი გულისხმიერი ადამიანის მიერ გამოვლენილი გულმოდგინების გამოჩენას.¹² **დირექტორის პასუხისმგებლობა დგება არა მაშინ, როდესაც მისმა გადაწყვეტილებამ საწარმოს მოგება ვერ მოუტანა, არამედ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მისთვის დაკისრებული ვალდებულებების დარღვევის შედეგად საზოგადოებას ზიანი მიადგა.**¹³

სამეწარმეო განსჯის წესი (The Business Judgement Rule)

ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფცია (the business judgement rule) არის წესი, რომელიც საწარმოს დირექტორს აძლევს მოქმედების თავისუფლებასა და სამეწარმეო

⁹ McPherson and Raja, Corporate Justice: An Empirical Study of Piercing Rates and Factors Courts Consider when Piercing the Corporate Veil, 45(3) *Wake Forest Law Review* (2010) 931.

¹⁰ Bell, Veil Piercing and LLCs: Supporting the Case for a Meaningful, Legislated Standard, 52(4) *South Texas Law Review* (2011) 615.

¹¹ ჯუღელი, *კაპიტალის დაცვა საქცილ საზოგადოებაში*, გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) 2010.

¹² ჭანტურია, *კორპორაციული მართვა და ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა საკორპორაციო სამართალში*, თბილისი, 2006.

Model Business Corporation Act (2016 Revision) (December 9, 2016), §8.30. https://www.americanbar.org/content/dam/aba/administrative/business_law/corplaws/2016_mbca.pdf [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

¹³ Cahn and Donald, *Comparative Company Law: Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA* (2nd ed.), Cambridge University Press (2018).

საქმიანობაში ჩაურევლობის გარანტიებს.¹⁴ თუმცა, იგი იმ შემთხვევაში გამოიყენება თუ დირექტორი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი იყო. იგი უნდა ეფუძნებოდეს ინფორმირებულ გადაწყვეტილებას (based on the informed decision), კეთილსინდისიერებასა (in good faith) და სათანადო მზრუნველობას (due care), კერძოდ იმის რწმენას, რომ აღნიშნული მოქმედებები კომპანიის საუკეთესო ინტერესებშია.¹⁵ თუ ზემოაღნიშნული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, სასამართლოს მიერ აღარ ფასდება დირექტორების მიერ მიღებულ სამეწარმეო გადაწყვეტილების გონივრულობა, მაშინაც კი, თუ დამდგარი შედეგი არ აღმოჩნდება კომპანიისთვის სასარგებლო ან სასურველი.¹⁶

საქმეში *Kamin v. American Exp. Co.*, სასამართლომ განმარტა, რომ ისეთ პირობებში, როდესაც არ არსებობდა დირექტორის მიერ თაღლითობის ან სხვა არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის მტკიცებულება, მისი გადაწყვეტილების გონივრულობის შეფასება ხვდებოდა სასამართლოს კონტროლის ფარგლებს გარეთ.¹⁷ **სასამართლო არ არის ის ორგანო, რომელსაც შესწევს სამეწარმეო გადაწყვეტილების გონივრულობის შეფასების უნარი. აღნიშნულის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მოსამართლეს უწევს დირექტორის გადაწყვეტილების *post factum*, დამდგარი შედეგის მიხედვით შეფასება.** გარდა ამისა, იმ პირობებში, როდესაც მოსამართლეს არ აქვს ბიზნესის გაძღოლა-წარმოების გამოცდილება და კონკრეტულ ბიზნეს აქტივობის სპეციფიკური ცოდნა, დირექტორის გადაწყვეტილების გონივრულობის რეტროსპექტული შეფასება რთული ამოცანაა.¹⁸

ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფციის გაბათილების ვალდებულება მოსარჩელეს აქვს, რა დროსაც უნდა დადასტურდეს, რომ დირექტორმა გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია ფიდუციური ვალდებულებების ტრიადიდან ერთ-ერთი: კეთილსინდისიერება (duty of good faith), ერთგულება (loyalty) ან სათანადო მზრუნველობა (due care).¹⁹ ასეთ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი გადადის დირექტორზე, რომელმაც უნდა

¹⁴ Poindexter, *Criminal and Civil Liability for Corporations, Officers, and Directors*, Thomson Reuters (2016).

¹⁵ Supreme Court of Delaware, *Gantler v. Stephens*, 965 A.2d 695 (2009) <https://casetext.com/case/gantler-v-stephens-2> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021]. დირექტორების მოვალეობებთან და მათ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია დელავერის შტატის სასამართლო პრაქტიკა, რადგან მან არაერთი ქვეყნის საკორპორაციო სამართალზე მოახდინა გავლენა.

¹⁶ ბაქაქური, გელტერი, ცერცვაძე, ჯუღელი, *საკორპორაციო სამართალი, სახელმძღვანელო იურისტებისათვის* (ოქტომბერი, 2019) 79.

¹⁷ Supreme Court, New York County, *Kamin v. American Express*, 86 Misc. 2d 809, 383 N.Y.S.2d 807 (1976) <https://casetext.com/case/kamin-v-american-express> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

¹⁸ Cahn and Donald, *Comparative Company Law: Text and Cases on the Laws Governing Corporations in Germany, the UK and the USA* (2nd ed.), Cambridge University Press (2018).

¹⁹ Avergun, et. al, *Corporations, Directors, and Officers: Potential Criminal and Civil Liability*, *Cadwalader, Wickersham & Taft LLP* (2018).

District Court for the District of Delaware, *In Re Hechinger Inv. Co. of Del.*, 327 B.R. 537 (D. Del. 2005) <https://www.courtlistener.com/opinion/1853185/in-re-hechinger-inv-co-of-del/> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

დაადასტუროს მისი მოქმედების სამართლიანობა (entire fairness). ამ წესის საფუძველზე, უნდა დადგინდეს იყო თუ არა ტრანზაქცია სამართლიანი მოლაპარაკებების პროცესისა და სამართლიანი ფასის შედეგი.²⁰ ამდენად, გადაწყვეტილება ფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად იყო იგი კეთილსინდისიერი, გულისხმიერი და რაციონალური პროცესის შედეგი. ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობისა და მიზანშეწონილობის შეფასება კი სასამართლოს კონტროლს გარეთ ექცევა.

ბრალდების შესახებ დადგენილების მიხედვით, გენერალური ხელშეკრულების გაფორმება დანაშაულის შემადგენელ კომპონენტს წარმოადგენდა, რის საფუძველზეც მოგვიანებით ქონებრივი უფლება გაიფლანგა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შეფასდეს გენერალურ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხებისა და ფიდუციური ვალდებულებების ურთიერთმიმართება.

გენერალური ხელშეკრულება და დამატებითი შეთანხმებები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომში - სამოქალაქო კოდექსი) მე-10 და 319-ე მუხლებით დადგენილია კერძო ავტონომიისა და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპები. კერძო სამართლის სუბიექტებს აქვთ ხელშეკრულების დადების თავისუფლება, ხელშეკრულების ფორმისა და ტიპის არჩევის, მისი შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება. იგი წარმოადგენს პირთა თანასწორობაზე დამყარებულ, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ პრინციპს, რომლის საფუძველზეც მხარეებს კანონით აუკრძალავი, ნებისმიერი შეთანხმების მიღწევა შეუძლიათ. იგი თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის უმთავრესი საფუძველია.²¹

რუსთავი 2-ს, როგორც მოქმედ ლიცენზირებულ მაუწყებლობას, უფლება ჰქონდა ეკონომიკური სარგებლის სანაცვლოდ განეთავსებინა კომერციული რეკლამა.²² რუსთავი 2 უფლებამოსილი იყო შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ, ეს უფლება შპს „ინტერ მედია პლიუსისათვის“ გადაეცა. გარდა ამისა, დადგენილია, რომ რუსთავი 2-სა და ინტერ მედია პლიუსს შორის დადებული გენერალური ხელშეკრულება და მისი საგანი არ ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობას.²³

გენერალური ხელშეკრულების თანახმად, კომერციული რეკლამის განთავსების უფლების დათმობისათვის ანაზღაურება განისაზღვრებოდა ყოველთვიურად, წინასწარ შეთანხმებული

²⁰ Supreme Court of Delaware, *Cede & Co. v. Technicolor, Inc.*, 634 A.2d 345 (1993) <https://www.law.upenn.edu/live/files/6825-a> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

²¹ჯორბენაძე სერგი, *ხელშეკრულების თავისუფლება სამოქალაქო სამართალში*, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი, 2017.

²² შპს „იუაის“ მიერ გაცემული 2020 წლის 6 თებერვლის საექსპერტო დასკვნა, §37.

²³ იქვე, §41.

თანხის შესაბამისად.²⁴ ამდენად, მხარეთა შეთანხმება არ იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რა ოდენობის სარეკლამო დროს მოიხმარდა „სეილს ჰაუზი“. ექსპერტთა შეფასებით, ანაზღაურების დაანგარიშების ეს წესი წარმოადგენდა კომერციულ პირობას და არ ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კანონმდებლობას.²⁵

ბრალდების საფუძვლიანობა

გამოძიების ეტაპზე, ბრალდების მხარეს უნდა მოეპოვებინა მტკიცებულებები, რომლებიც ნიკა გვარამიას მიერ ფიდუციური ვალდებულების დარღვევის ფაქტის გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურების წინაპირობა გახდებოდა. მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს იმ გარემოებებზე, რომლებმაც გენერალური ხელშეკრულებისა და დამატებითი შეთანხმებების გაფორმება, აგრეთვე ანგარიშსწორების წესის ცვლილება განაპირობა.

დაცვის მხარის განმარტებით, სარეკლამო ბაზრის განსხვავებული საკანონმდებლო რეგულაცია,²⁶ რუსთავი 2-თან დაკავშირებით მიმდინარე სამართლებრივი დავა, კომპანიის კუთვნილი აქტივების დაყადაღება და ტელევიზიის რეიტინგის შესაძლო კლება გახდა იმ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი, რომ მოსალოდნელი რისკების გადაზღვევის მიზნით,

²⁴ 2015 წლის 16 იანვრის გენერალური ხელშეკრულება, §4.1-4.3.

²⁵ შპს „იუას“ 2020 წლის 6 თებერვლის საექსპერტო დასკვნა, §45.

²⁶ 2014 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტში დარეგისტრირდა მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის პროექტი (<https://info.parliament.ge/#law-drafting/7768>). კანონპროექტი 2015 წლის 19 თებერვალს იქნა მიღებული, ხოლო ძალაში შესვლის თარიღად 2015 წლის პირველი აპრილი განისაზღვრა. კანონის 64-ე მუხლმა რეკლამის ქრონომეტრაჟის საკითხები განსხვავებულად მოაწესრიგა. კერძოდ, ამ მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სარეკლამო წყვეტებში რეკლამა ისე უნდა განთავსდეს, რომ მისი მოცულობა სამაუწყებლო საათში 20%-ს არ აღემატებოდეს (შეად. ზემოაღნიშნულ ცვლილებამდე მოქმედი რედაქციის 64-ე მუხლის მე-11 პუნქტს - რეკლამის ან ტელეშოპინგის მოცულობა დღე-ღამის განმავლობაში არ უნდა აღემატებოდეს მაუწყებლობის საერთო ხანგრძლივობის 20%-ს).

კანონპროექტის მიღების მიზეზად კანონმდებლობის აუდიოვიზუალური მედია სერვისის 2010/13/EU დირექტივასთან შესაბამისობაში მოყვანა სახელდებოდა (იხ. განმარტებითი ბარათი <https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/54691>).

თუმცა, აღსანიშნავია, ის გარემოება რომ #2010/13/EU დირექტივის ძალაში შესვლის თარიღად 2016 წლის 1 ივლისი იყო განსაზღვრული (ამ დირექტივის დებულებები უნდა შესრულებულიყო შეთანხმების ძალაში შესვლიდან სამი წლის ვადაში, გარდა დირექტივის 23-ე მუხლისა (რომელიც სწორედ კომერციული რეკლამისა და ტელეშოპინგის განთავსების თავისებურებებს ეხებოდა), რომლის შესრულების ვადად ხუთი წელი განისაზღვრა).

იხ. **დანართი XXXIII** - ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირის და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2496959?publication=0>

23-ე მუხლი - აუდიოვიზუალური მედია სერვისის #2010/13/EU დირექტივა <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:32010L0013&from=EN>

დამატებით, იხ. [https://idfi.ge/ge/tv-ads-](https://idfi.ge/ge/tv-ads-limitations?fbclid=IwAR1UHF8m7ZP0RljGWxr1Xinv3UAIG5o4ppRMkToHA_lz6ptt9ehjnNHF3A8)

[limitations?fbclid=IwAR1UHF8m7ZP0RljGWxr1Xinv3UAIG5o4ppRMkToHA_lz6ptt9ehjnNHF3A8](https://idfi.ge/ge/tv-ads-limitations?fbclid=IwAR1UHF8m7ZP0RljGWxr1Xinv3UAIG5o4ppRMkToHA_lz6ptt9ehjnNHF3A8) [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

კომპანიას „სეილს ჰაუზისაგან“ იმ ოდენობის თანხა მიეღო, რომელიც მისი ფუნქციონირებისათვის იყო აუცილებელი.²⁷

კორპორაციული მართვის პროცესში დირექტორისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, იმ მოტივით, რომ მისმა გადაწყვეტილებამ საწარმოს წინა წლის მსგავსი შემოსავალი არ მოუტანა, ეწინააღმდეგება ბიზნესგადაწყვეტილების მართებულობის პრეზუმფციას. დირექტორის გადაწყვეტილებამ შესაძლოა საწარმოს მოგება არ მოუტანოს, თუმცა იგი გამართლებული იყოს საწარმოს ეფექტიანად ფუნქციონირების გაგრძელებისათვის. დირექტორი ვალდებულია, გადაწყვეტილების მიღებისას ჰქონდეს სრული ინფორმაცია და მისი კრიტიკული თვალთ შეფასებისა და განსჯის შესაძლებლობა.²⁸ იმ შემთხვევაში, თუ დირექტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აკმაყოფილებს სამეწარმეო განსჯის წესის სუბიექტურ და ობიექტურ კრიტერიუმებს, დირექტორისათვის პერსონალური პასუხისმგებლობის დაკისრება გაუმართლებელია. ასეთ დროს, დირექტორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი მხოლოდ მაშინ შეიძლება დაისვას, თუ მის მიერ განხორციელებული ქმედებები თავისთავად არის დანაშაული.²⁹

დირექტორის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, აუცილებელია დადგინდეს, კომპანიის ინტერესების განზრახ უგულებელყოფა. მენეჯერულ პოზიციაზე მყოფი პირი პასუხს აგებს ქმედებისათვის, თუ იგი პირდაპირ იყო ჩართული კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში.³⁰ მნიშვნელოვანია, დადგინდეს არაკეთილსინდისიერად მოქმედების ფაქტი და ანგარებითი ქვენაგრძობის მოტივი.³¹

კანონიერების პრინციპის თანახმად, ყველა ქმედება, რომელსაც სახელმწიფო დანაშაულად მიიჩნევს გათვალისწინებული უნდა იქნეს სისხლის სამართლის კანონში.³² დაუშვებელია კანონის ფართოდ ბრალდებულის საზიანოდ განმარტება.³³ სსკ-ის 182-ე მუხლით

²⁷ მათ შორის, ნიკა გვარამიას 2019 წლის 2 აგვისტოს დაკითხვის ოქმი.

²⁸ ბაქაქური, გელტერი, ცერცვაძე, ჯუღელი, *საკორპორაციო სამართალი, სახელმძღვანელო იურისტებისათვის* (ოქტომბერი, 2019) 79.

²⁹ Fisse, Fraud and the Liability of Company Directors, *Canberra: Australian Institute of Criminology* (1992) 13.

³⁰ Poindexter, Criminal and Civil Liability for Corporations, Officers, and Directors, Thomson Reuters (2016).

³¹ Fisse, Fraud and the Liability of Company Directors, *Canberra: Australian Institute of Criminology* (1992) 13.

მენეჯერის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შესაძლებელია გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც დადგეს. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლოს მიერ დაადგინილია პასუხისმგებლიანი კორპორაციული ხელმძღვანელის (The Responsible Corporate Officer Doctrine - RCO) დოქტრინა, რომლის მიხედვითაც, მენეჯერი შესაძლებელია დაექვემდებაროს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იმ შემთხვევაშიც თუ მან არ იცოდა კომპანიის სახელით ჩადენილი დანაშაულის შესახებ, თუმცა მისი კონტროლი და პრევენცია შედიოდა მის სამსახურებრივ უფლებამოსილებაში ან იცოდა შესაძლო დარღვევების შესახებ, თუმცა არ განახორციელა ქმედითი ბერკეტები, რათა დაეიდენტიფიცირებინა და აღმოეფხვრა იგი.

³² Hall, Nulla Poena Sine Lege, 47(2) *The Yale Law Journal* (1937) 165.

³³ *Vasiliasukas v. Lithuania [GC]*, no. 35343/05, ECHR 2015, §154.

ინკრიმინირებულ ერთ-ერთ ქმედებას სხვისი ქონებრივი უფლების მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვა წარმოადგენს.

იმ პირობებში, როცა საქმეში არსებული მტკიცებულებებით ნიკა გვარამიას მიერ 2015 წლის პერიოდში ფიდუციური ვალდებულების დარღვევის ფაქტი არ დასტურდება, გამოირიცხება კომპანიის კუთვნილი ქონებრივი უფლების გაფლანგვის ობიექტური შემადგენლობა. გარდა ამისა, ქმედების სსკ-ის 182-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია განზრახვის ინტელექტუალური და ვოლუნტატური ელემენტების არსებობა.³⁴ ობიექტური შემადგენლობის არსებობის პარალელურად, პირს ერთი მხრივ, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ქმედების შემადგენლობის ცოდნა და მისი განხორციელების სურვილი (ნებელობა), ხოლო მეორე მხრივ უნდა არსებობდეს სპეციალური მოტივი (ანგარება).

ისეთ მოცემულობაში, როდესაც ნიკა გვარამიას მიერ 2015 წლის პერიოდში ფიდუციური ვალდებულების დარღვევის ფაქტი არ დგინდება, კომერციული მოსყიდვის ქმედების შემადგენლობის ნიშნები იმთავითვე გამოირიცხება. აღნიშნული მუხლის შემადგენლობის აუცილებელი ელემენტია, რომ დირექტორი თავისი სამსახურებრივი ვალდებულებების დარღვევით მოქმედებდეს.³⁵

III. ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ბრალდება

სსკ-ის 362-ე მუხლით ინკრიმინირებული ქმედება მმართველობის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენს. დანაშაულის უშუალო ობიექტი ოფიციალური დოკუმენტის შექმნის, სარგებლობისა და გამოყენების დადგენილი წესია. იურიდიულ ლიტერატურაში, ოფიციალური დოკუმენტად მიჩნეულია ისეთი დოკუმენტი, რომელიც პირს ანიჭებს რაიმე უფლებას ან ათავისუფლებს რაიმე მოვალეობისაგან.³⁶ ყალბ დოკუმენტში შეიძლება იგულისხმებოდეს როგორც ფიქციური დოკუმენტის შექმნა, ასევე მისი შინაარსის ან ნიშან-თვისებების შეცვლა და გაყალბება (გადასწორება, დამატებითი მონაცემების შეტანა, სხვის მაგივრად ხელმოწერა, ციფრების ამოშალა და ა.შ).³⁷

იმ შემთხვევაში თუ სასამართლო საქართველოს კონსტიტუციითა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი მტკიცებულებათა სტანდარტით დაადგენს, რომ 2016

³⁴ ტურავა, *სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, პირველი წიგნი, დანაშაულის მოძღვრება*, გამომცემლობა მერიდიანი, 2011.

³⁵ სსკ-ის 221-ე მუხლის შემადგენლობა აგებულია ქრთამის აღებისა და მიცემის კონსტრუქციის მსგავსად. მათ შორის განსხვავება კი კანონით დაცულ ინტერესსა და დანაშაულის ამსრულებლის მიხედვით განისაზღვრება.

³⁶ ლეკვიშვილი, თოდუა, გვენეტაძე, მამულაშვილი, *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი II)*, მესამე გამოცემა (2009) 243-244.

³⁷ იქვე, 246.

წლის 5 და 25 ივლისის სესხის ხელშეკრულება არ ასახავდა რეალობას და იგი გარკვეული გარემოებების შესანიღბად შეიქმნა, აუცილებელია შეფასდეს რამდენად არსებობს სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედების შემადგენლობის ნიშნები.

ბრალდების მხარე სიყალბის დამადასტურებლად ხელშეკრულების ფიქტიურობაზე მიუთითებს. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართალი არ იცნობს ფიქტიური გარიგების ცნებას. ბრალდების შესახებ დადგენილება შესაძლოა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლით განსაზღვრული მოჩვენებით ან თვალთმაქცურ გარიგებას გულისხმობდეს.

სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლი აწესრიგებს ნების ნაკლის საფუძველზე დადებული გარიგების ორ შემთხვევას - მოჩვენებით და თვალთმაქცურ გარიგებას. ორივე შემთხვევაში საუბარია სიმულაციაზე და სიმულაციის განსხვავებულ მეთოდებზე.³⁸

მოჩვენებითი გარიგების ხასიათს განაპირობებს მხარეთა განზრახვა, გარიგების დადებით მიაღწიონ მიზანს, რომელიც არ შეესაბამება ამ გარიგების შინაარსიდან გამომდინარე იურიდიულ შედეგს. **თვალთმაქცური გარიგების** დროს ნების გამომვლენი სუბიექტების ნება შეთანხმებულია და მათ განზრახული აქვთ განსაზღვრული სამართლებრივი შედეგის მიღება, თუმცა, შინაგანი ნება და გამოვლენილი ნება არ ემთხვევა ერთმანეთს.³⁹

სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, მოჩვენებითი გარიგების დადება ძირითადად მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან არის დაკავშირებული (მაგალითად, მოჩვენებითი გარიგების დადების ერთ-ერთ მოტივს შეიძლება წარმოადგენდეს მესამე პირის მოტყუება, პასუხისმგებლობისაგან თავის არიდება და ა.შ.).⁴⁰ თუმცა, სავალდებულო არ არის გარიგება მესამე პირებთან არსებულ ურთიერთობასთან იყოს დაკავშირებული.⁴¹ თვალთმაქცური გარიგების დროს კი მხარეების შინაგანი და გამოვლენილი ნება ერთმანეთს არ ემთხვევა - ისინი ფარავენ სხვა გარიგებას, რომლის დადების ნებაც რეალურად გააჩნიათ.⁴²

მოჩვენებითი ან თვალთმაქცური გარიგების დადება ავტომატურად არ უნდა გახდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი. იგი სხვა გარემოებებთან

³⁸ ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, gccg.ge, 01.11.2015, მუხლი 56. <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2015/11/Artikel-56.pdf> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

³⁹ იქვე.

⁴⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 30 აპრილს #ას-571-879-2009 განჩინება <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

⁴¹ ჭანტურია, სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, gccg.ge, 01.11.2015, მუხლი 56. <http://www.gccc.ge/wp-content/uploads/2015/11/Artikel-56.pdf> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

⁴² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წელი 5 მაისის #28/4900-14 განჩინება <http://library.court.ge/judgements/71842015-12-01.pdf> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

ერთობლიობაში უნდა შეფასდეს. ასეთი გარიგებები სისხლისსამართლებრივად რელევანტურ ქმედებად მხოლოდ მაშინ შეიძლება შეფასდეს, თუ დადგინდება, რომ მესამე პირთა მოსატყუებლად ანდა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით იქნა გამოყენებული. ასეთ შემთხვევაშიც კი, იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, შესაძლოა დამატებითი კვალიფიკაციის საჭიროება აღარ დადგეს. მაგალითად, თუ თაღლითობის ჩადენისას გამოყენებული იქნა ყალბი ოფიციალური დოკუმენტი, იგი შესაძლოა დანაშაულის ჩადენის ხერხად ჩაითვალოს და დანაშაულთა ერთობლიობით დამატებითი კვალიფიკაციის საჭიროება გამორიცხოს.⁴³

ამდენად, იმ შემთხვევაში თუ შესაბამისი მტკიცებულებებითა სტანდარტით დადასტურდება, რომ მხარეების რეალური ნება სესხის ხელშეკრულების დადება არ ყოფილა, სახეზე იქნება არა სისხლის სამართლის კოდექსის 362-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა, არამედ დადგება სამოქალაქო კოდექსის 56-ე მუხლით გათვალისწინებული მოჩვენებითი და თვალთმაქცური გარიგების წესების გამოყენების საჭიროება. იმ პირობებში, როდესაც მოჩვენებითი ან თვალთმაქცური გარიგება დანაშაულის ჩადენის გასაადვილებლად არ არის გამოყენებული ან მისი დადების შედეგად მესამე პირს ზიანი არ მისდგომია, ასეთი ქმედების სისხლისსამართლებრივ ჭრილში შეფასება არარელევანტურია.

IV. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ბრალდება

უნივერსალური განმარტების მიხედვით, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემას გულისხმობს.⁴⁴ პირველი ქვეყანა, რომელმაც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის კრიმინალიზაცია მოახდინა ამერიკის შეერთებული შტატებია (Money Laundering Control Act of 1986).⁴⁵

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხში მნიშვნელოვანი იყო 1988 წლის ვენის კონვენციისა და 1990 წლის სტრასბურგის კონვენციის მიღება.⁴⁶ ხელშემკვრელმა მხარეებმა

⁴³ ლეკვიშვილი, თოდუა, გვენტაძე, მამულაშვილი, *სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი I)*, მეოთხე გამოცემა, გამომცემლობა მერიდიანი (2011) 383.

⁴⁴ Achim and Borlea, Economic and Financial Crime Corruption - Shadow Economy, and Money Laundering, *Studies of Organized Crime*, Springer (2020).

OECD, Shining Light on the Shadow Economy: Opportunities and Threats (2017) <https://www.oecd.org/tax/crime/shining-light-on-the-shadow-economy-opportunities-and-threats.pdf> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

⁴⁵ Sharman, Power and Discourse in Policy Diffusion: Anti-Money Laundering in Developing States, 52(3) *International Studies Quarterly* (2008) 635.

ფულის გათეთრების კრიმინალიზაცია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით მოხდა.

⁴⁶ ვენის კონვენცია ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლის მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის “ბ” ქვეპუნქტი.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის, ფულის გათეთრების შემადგენლობის ნიშნებისა და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების განსაზღვრის მზაობა გამოთქევს. აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის კონვენციაში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დეფინიცია ფართოდაა განმარტებული. აღნიშნულის მიზანი ხელშემკვრელი სახელმწიფოების კანონმდებლობის მოცვა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდა იყო.⁴⁷

ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ფულის გათეთრების წინააღმდეგ ფინანსურ ქმედებათა სპეციალური ჯგუფი (Financial Action Task Force on Money Laundering (FATF)).⁴⁸ მისი მიზანი მსოფლიო მასშტაბით ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სტანდარტების დაწესება და ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაა.⁴⁹ FATF-ის მსგავსად, ევროსაბჭოს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კომიტეტის (MONEYVAL) მიზანიც უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობის გაზრდაა.⁵⁰

ფულის გათეთრების არსი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ სხვადასხვა ტრანზაქციებით შეუძლებელი გახდეს დანაშაულის გზით მიღებული შემოსავლის წყაროს იდენტიფიცირება, შეიქმნას მისი გამოყენებისა და ხელმისაწვდომობის საფუძველი. ამდენად, ფულის გათეთრება არის პროცესი, როდესაც დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავალს

https://www.unodc.org/documents/commissions/CND/Int_Drug_Control_Conventions/Ebook/The_International_Drug_Control_Conventions_E.pdf

სტრასბურგის კონვენცია დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის გათეთრების, გამოვლენის, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ, მე-6 მუხლი.

<https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1216554?publication=0> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

⁴⁷ Zoppei, *Anti-money Laundering Law: Socio-legal Perspectives on the Effectiveness of German Practices (International Criminal Justice Series, Volume 12)*, The Hague: T.M.C. Asser Press (2017).

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 194-ე მუხლი აგებულია სტრასბურგის კონვენციით დადგენილი ფულის გათეთრების დანაშაულის ნიშნების მსგავსად, რაც ბუნებრივია მისი ფართოდ განმარტების შესაძლებლობას იძლევა.

სსკ-ის 194 მუხლი:

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი წარმოშობის დაფარვის ან/და სხვა პირისთვის პასუხისმგებლობისათვის თავის არიდებაში დახმარების გაწევის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა.

⁴⁸ <http://www.fatf-gafi.org/home/> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

⁴⁹ Kern, *The International Anti-Money-Laundering Regime: The Role of the Financial Action Task Force*, 4(3) *Journal of Money Laundering Control* (2001) 231.

Doyle, *Cleaning up Anti-money Laundering Strategies: Current FATF Tactics Needlessly Violate International Law*, 24(2) *Houston Journal of International Law* (2002), 279.

⁵⁰ <https://www.coe.int/en/web/moneyval> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

კანონიერი გზების გამოყენებით ეძლევა ლეგალური სახე, ხდება მოპოვებული ფულადი სახსრების წყაროს შენიღბვა და მისი რეინვესტირება კანონიერ აქტივობებში.⁵¹

ფულის გათეთრების აუცილებელი ელემენტებია:⁵²

- პრედიკატული დანაშაული
- დანაშაულის საფუძველზე მიღებული უკანონო შემოსავალი
- უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესი
- უკანონო შემოსავლის წყაროს დაფარვის განზრახვა

როგორც წესი უკანონო შემოსავლის წყაროს ტრანსნაციონალური ან ორგანიზებული დანაშაული წარმოადგენს. გარდა ამისა, დანაშაულებრივი შემოსავალი შეიძლება იყოს გადასახადებისაგან თავის არიდების, კორუფციის ან საბანკო დანაშაულის შედეგი.⁵³

ფულის გათეთრების პროცესი არის კომპლექსური ტრანზაქციების ერთობლიობა, რომელიც პრაქტიკაში სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოვლინდეს. ფულის გათეთრება შესაძლებელია ფულის მცირე ოდენობებზე დანაწევრებითა (ე.წ. smurfing) და მრავალჯერადი საბანკო ოპერაციების წარმოებით, ოფშორული კომპანიების გამოყენებით, ფულადი გადარიცხვების ფორმალური ან არაფორმალური სისტემისა და პარალელური საბანკო სერვისების (Hundi, Black Market Peso Exchange System, Hawalla Banking) გამოყენებით, საფონდო ბირჟებზე ტრანზაქციების განხორციელებით, ინვესტიციებით, აზარტული თამაშებისა და კაზინოების გამოყენებით.⁵⁴

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესი რამდენიმე სტადიისაგან შედგება:⁵⁵

⁵¹ Ardizzi, et al., Money Laundering as a Crime in the Financial Sector: A New Approach to Quantitative Assessment, with an Application to Italy, 46(8) *Journal of Money, Credit and Banking* (2014) 1555.

What is Money Laundering? <http://www.fatf-gafi.org/faq/moneylaundering/> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

⁵² Madinger, Money Laundering - A Guide for Criminal Investigators, Third Edition, *CRC Press, Taylor & Francis Group* (2012).

⁵³ Levi, Money Laundering and Its Regulation, 583(2) *The Annals of the American Academy of Political and Social Science* (2002) 181.

⁵⁴ Passas, *Informal Value Transfer Systems, Terrorism and Money Laundering, Report to the National Institute of Justice*, Boston: Northeastern University (2003).

He Ping, A Typological Study on Money Laundering, 13(1) *Journal of Money Laundering Control* (2010) 15.

Alldrige, Money Laundering and Globalization, 35(4) *Journal of Law and Society* (2008) 437.

Jost and Sandhu, *The Hawala Alternative Remittance System and its Role in Money Laundering*, Prepared by the Financial Crimes Enforcement Network in cooperation with INTERPOL/FOPAC.

⁵⁵ Achim and Borlea, *Economic and Financial Crime Corruption - Shadow Economy, and Money Laundering, Studies of Organized Crime*, Springer (2020).

Schneider and Windischbauer, Money Laundering: Some Facts, 26(3) *European Journal of Law and Economics* (2008) 387.

How is money laundered? <http://www.fatf-gafi.org/faq/moneylaundering/> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

განთავსება (Placement) - უკანონო აქტივობებიდან მიღებული შემოსავალი ექცევა ბრუნვაში და თავსდება ფინანსურ სისტემაში. ეს შესაძლოა განხორციელდეს დიდი თანხის ნაკლებად შესამჩნევ მცირე თანხებად დანაწევრებით. აღნიშნულის შემდეგ, დანაწევრებული ნაღდი ფული თავსდება საბანკო ანგარიშებზე ან ხდება სხვა ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება (ჩეკების, ფასიანი ქაღალდების, ფულადი გზავნილების და ა.შ.), მისი განაღდება და სხვა ანგარიშებზე განთავსება.⁵⁶

ფენების გაჩენა (Layering ან Stratification) - ფულის წარმოშობის ნამდვილი ბუნების დაფარვის მიზნით ხდება იმგვარი ტრანზაქციების განხორციელება (დაშრევა), რომელიც რთულს გახდის ფულის წყაროს იდენტიფიცირებას. ამ დროს ხდება მცირე ოდენობის თანხების მრავალჯერადი გადარიცხვა. ის ქვეყნები, რომლებსაც ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სუსტი მექანიზმები აქვთ, ხშირად ამ სტადიის წარმატებულად შესრულებას ამარტივებს. ფულის გათეთრება შესაძლოა ფიქტიური ოპერაციების, სერვისებისა თუ მიღება-ჩაბარების აქტების გამოყენებით შეინიღბოს და გადარიცხვები იმგვარად წარმოჩინდეს, თითქოს ისინი საქონლის შესაძენად ან მომსახურებისთვისაა განკუთვნილი.⁵⁷

ინტეგრაცია (Integration) - ფულის გათეთრების ბოლო ფაზის დროს ხდება უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, მისი მეპატრონისათვის დაბრუნება და კანონიერ ეკონომიკაში განთავსება. იგი შეიძლება გამოიხატოს ინვესტიციების განხორციელებით, უძრავი ქონების, ძვირადღირებული ფუფუნების საგნების, ანტიკვარიატის ყიდვით, ახალი ბიზნესის დაწყებით, რის შედეგადაც თანხას „სუფთა“ სახე მიეცემა და იმგვარად წარმოჩინდება, რომ შემოსავალი ლეგალური კომერციული აქტივობების შედეგია.⁵⁸

აღსანიშნავია, რომ ფულის გათეთრების სპეციალურ მიზანი არა მოგების მიღება, არამედ იმის უზრუნველყოფაა, რომ უკანონო შემოსავალი ლეგალურ ეკონომიკაში განთავსდეს და ფულის წარმოშობის წყაროსა და მისი ნამდვილი ბუნების შესახებ სამართალდამცავებისათვის ცნობილი არ გახდეს.⁵⁹ ამდენად, ქმედების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მუხლით კვალიფიკაციისათვის აუცილებელია პირის მიზანი სხვადასხვა ტრანზაქციით ფულის წყაროს დაფარვა იყოს.

⁵⁶ Teichmann, et al., Money Laundering – the Gold Method, *Journal of Money Laundering Control* (2020).

⁵⁷ Madinger, Money Laundering - A Guide for Criminal Investigators, Third Edition, *CRC Press, Taylor & Francis Group* (2012).

⁵⁸ Schneider and Windischbauer, Money Laundering: Some Facts, 26(3) *European Journal of Law and Economics* (2008) 387.

⁵⁹ Alldridge, *Money Laundering Law: Forfeiture, Confiscation, Civil Recovery, Criminal Laundering and Taxation of the Proceeds of Crime*, Hart Publishing (2003).

ფულის გათეთრების ბრალდების საფუძვლიანობა

სსკ-ის 194-ე მუხლის დისპოზიცია ქმედების უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით კვალიფიკაციის ფართო შესაძლებლობას იძლევა. თუმცა მისი განმარტება კონვენციის მიზნებითა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებიდან უნდა გამომდინარეობდეს. ფულის გათეთრების ბრალდების საფუძვლიანობის შეფასებისას, აუცილებელია, დადგინდეს არსებობს თუ არა ამ დანაშაულისათვის დამახასიათებელი ნიშნების ერთობლიობა - პრედიკატული დანაშაული, უკანონო შემოსავლის და მისი ლეგალიზაციის პროცესი (მათ შორის მისი სტადიები), აგრეთვე სპეციალური მიზანი.

სხვაგვარი განმარტებისა და 194-ე მუხლის დისპოზიციის სიტყვასიტყვით წაკითხვის პირობებში მივიღებთ იმგვარ მოცემულობას, რომ საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ანგარებითი დანაშაულის ჩადენის შემდეგ, მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ნივთის გამოყენება ავტომატურად ფულის გათეთრებად უნდა დაკვალიფიცირდეს. აღნიშნული დამკვიდრება წინააღმდეგობაში მოდის სისხლის სამართლის პრინციპებთან, მათ შორის ორმაგი დასჯის აკრძალვის პრინციპთან (*ne bis in idem*). ამდენად, ფულის გათეთრებად არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულებრივი გზით მიღებულ ქონებასთან დაკავშირებული ორდინალური მოქმედებები, მათ შორის მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ნივთით სარგებლობა, მისი გაყიდვა ან გასხვისება.

იმ შემთხვევაში თუ პირი მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებულ თანხას იყენებს, ეს ფულის გათეთრებად არ შეიძლება შეფასდეს, რადგან მიზანი არა უკანონო შემოსავლის წარმოშობის წყაროს დამალვა, არამედ მისი გამოყენებაა. ასეთი ქმედება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ფულის გათეთრებად, როდესაც პირი ფულს მცირე თანხებად საბანკო ანგარიშზე განათავსებს, განახორციელებს არაერთჯერად გადარიცხვებს ან სხვა იმგვარ ქმედებათა ერთობლიობას, რომლის მიზანიც წყაროს შენიღბვა და საბოლოოდ ამ თანხისათვის ლეგალური იერსახის შექმნა იქნება.

ამგვარი მიდგომა გაზიარებულია ფულის გათეთრების წინააღმდეგ მებრძოლი არაერთი ქვეყნის მიერ. მაგალითად, გაერთიანებული სამეფოს პროკურატურის (*United Kingdom Crown Prosecutor Service*) სისხლისამართებრივი დევნის სახელმძღვანელო პრინციპებში მოცემული რეკომენდაციის მიხედვით, ფულის გათეთრების ბრალდების წაყენება იმ შემთხვევაში უნდა იქნას განხილული, თუ ბრალდებულის ქმედება აღემატება დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული შემოსავლის გამოყენების ფაქტს. სხვა შემთხვევაში დანაშაულებრივად მიღებული სარგებლის კონფისკაციაც საკმარისი იქნება და დამატებითი ბრალდების საჭიროება არ დგას.⁶⁰

⁶⁰ Proceeds of Crime Act 2002 Part 7 – Money Laundering Offences, Legal Guidance, Proceeds of Crime <https://www.cps.gov.uk/legal-guidance/proceeds-crime-act-2002-part-7-money-laundering-offences> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021]

მსგავსი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევა სასამართლო პრაქტიკის ანალიზიც. საქმეში *U.S. v. Millender*, რომელიც საინვესტიციო თაღლითობის სქემას ეხებოდა, სასამართლომ დაადგინა, რომ ფულის გათეთრების ბრალდების დასადასტურებლად აუცილებელია, ბრალდების მხარემ დაამტკიცოს, რომ „ადგილი აქვს კონკრეტულ განზრახვას, რომლის მიზანსაც ისეთი ტრანზაქციის განხორციელება წარმოადგენს, რომლითაც დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლის ნამდვილი ბუნების დამალვა იქნება შესაძლებელი.“⁶¹ მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ ბრალდებულები 600 000 აშშ დოლარის მოტყუებით დაუფლებაში სცნო დამნაშავედ, მან დაადგინა, რომ „არცერთი ტრანზაქცია არ იყო იმგვარად გაფორმებული, რომ შესაძლებელი ყოფილიყო, სასამართლოს დანაშაულებრივი განზრახვის (*mens rea*) არსებობის დასკვნა გამოეტანა, ვინაიდან არცერთი ტრანზაქცია არ მალავდა ფულის წყაროს და არც იმაზე მიაჩნებოდა, რომ მათი მიზანი წყაროს დამალვა იყო.“⁶²

იმ პირობებში, როცა არ დასტურდება ნიკა გვარამიას მიერ პრედიკატულ დანაშაულად მიჩნეული გაფლანგვის ან კომერციული მოსყიდვის ჩადენის ფაქტი, შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ნიკა გვარამიამ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დანაშაული ჩაიდინა. გარდა ამისა, ბრალდების მხარის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესად მითითებული გარემოებები ფულის გათეთრებად ვერ ჩაითვლება.

კერძოდ, ნიკა გვარამიას ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებულია:

მას შემდეგ რაც ნიკა გვარამიამ შპს „ინტერ მედია პლიუსისგან“ უკანონოდ მიიღო დიდი ოდენობით უძრავი ქონებები, განიზრახა დანაშაულებრივად მიღებული ქონებისათვის კანონიერი სახის მიცემა, მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს და საკუთრების შენიღვის მიზნით. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, უძრავი ქონებების მის სახელზე რეგისტრაციიდან რამოდენიმე თვეში, 2017 წლის 07 ივლისსა და 2017 წლის 26 სექტემბერს, ორივე საცხოვრებელი ბინა, ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე გაასხვისა სხვადასხვა პირებზე, რითაც მიიღო განსაკუთრებით დიდი ოდენობით - 602 521.8 ლარის შემოსავალი.

ბრალდების თანახმად, ნიკა გვარამიას ფულის გათეთრების განზრახვა უძრავი ქონების მიღების შემდეგ გაუჩნდა. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ქმედების შემადგენლობა კი ორი საცხოვრებელი ბინის გაყიდვასა და მის საფუძველზე მიღებული შემოსავლის მიღებას მოიცავს.

⁶¹ *United States v. Millender*, 1:16-cr-239-1 (AJT) (E.D. Va. Sep. 21, 2018)

<https://casetext.com/case/united-states-v-millender-11>

<https://www.moneylaunderingnews.com/2018/09/money-laundering-and-specific-intent-can-be-difficult-to-prove/>

სხევე, *United States v. Gilliam*, 975 F.2d 1050 (1992) <https://casetext.com/case/us-v-gilliam-6#p1056> [ბოლოს ნანახია: 10.03.2021].

⁶² იქვე.

ფულის გათეთრებისთვის დამახასიათებელი მანიპულაციების არარსებობის პირობებში, ბრალდების შესახებ დადგენილებაში მითითებული გარემოებები არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, არამედ მიღებული ქონების გამოყენებას უკავშირდება. იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრებით, დანაშაულის შედეგად მოპოვებული შემოსავლის მოხმარების გამო უკანონო ლეგალიზაციის თაობაზე დამატებით ბრალის წარდგენა გაუმართლებელია.⁶³ ბინების გაყიდვის ფაქტი, მხოლოდ მიღებული ქონების გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს და არა ისეთ ქმედებად, რომელმაც შესაძლოა ფულის გათეთრების შემადგენლობა შექმნას.

ზემოაღნიშნული გარემოებების გარდა, ბრალდება არც სპეციალური მიზნის თვალსაზრისით არის დასაბუთებული. ნიკა გვარამიას ქმედებების ანალიზი არ იძლევა იმ დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას, რომ მას ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის, ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს და საკუთრების შენიღბვის მიზანი ჰქონდა. ბრალდებულმა უძრავი ქონება ისე გაასხვისა, რომ არანაირი მცდელობა არ ქონია შეენიღბა მისი წარმოშობის წყარო.

⁶³ Bell, Discretion and Decision Making in Money Laundering Prosecutions, 5(1) *Journal of Money Laundering Control* (2001) 42.